ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ...

(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000362)

ქ. თბილისი 23 დეკემბერი, 2019 წელი

ერთი მხრივ -

შემსყიდველი: სოციალური მომსახურების სააგენტო

მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: გიორგი წოწკოლაური

საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

და მეორე მხრივ -

მიმწოდებელი: სს „ფრანს ავტო"; ს/კ 236098165.
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34. 0322 53 17 00
დირექტორი: გიორგი ფალიანი
საბანკო რეკვიზიტები: სს„საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, მიმღების ანგარიში: GE25BG0000000254559400, მიმღების სახელი: სს „ფრანს ავტო"

ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", სატრანსპორტო საშუალებების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, აგრეთვე „2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის № 2299 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ – „2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის № 2299 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სამარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერით (CON190000362) განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება. (დანართი #1)

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 6 (ექვსი) ცალი სატრანსპორტო საშუალება.

2.3. სატრანსპორტო საშუალების ერთეულის ღირებულება - 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარი.

2.4 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV-34100000.

2.5 სატრანსპორტო საშუალების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების შესაბამისად:

2.5.1. 5 (ხუთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება - არა უგვიანეს 2019 წლის 27 დეკემბრისა;

2.5.2. 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება - არა უგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

2.5.3. ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34.

2.5 სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ძარის ფერი - თეთრი.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულებაა: 156 000 (ას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტ(ებ)ის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.5 წინასწარი ანგარიშსწორება:

ა) წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნით შემსყიდველის მიერ განსაზღვრული და მასთან წინასწარ შეთანხმებული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 90%-ისა.

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის საფუძველზე.

გ) წინასწარი ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

დ) უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არ მიიღება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საკუთარ თავზე გაცემული გარანტია.

ე) წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღით.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს სატრანსპორტო საშუალებების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადებით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დანართებით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებთან.

დ) მიწოდებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაავრცელოს სატენდერო დოკუმენტაციითა და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები.

ე) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევა იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევის მიზნით.

ვ) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150 000 კილომეტრი გარბენი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი) მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომობილზე გამოვლენილი ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის ახლით შეცვლა განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.

ზ) მიმწოდებელმა თანმდევი საგარანტიო (გეგმიური) მომსახურების (ძრავის ზეთისა და ძრავის ფილტრის, წინა და უკანა ხუნდების, ჰაერის ფილტრის, კონდინციონერის ფილტრის, ძრავის ღვედი, ანთების სანთლები და სხვა.) გაწევა უნდა განახორციელოს არანაკლებ სამ ქალაქში მათ შორის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), ხოლო სხვა საგარანტიო შემთხვევაში (არაგეგმიური) მიმწოდებელი უფლებამოსილია, სატრანსპორტო საშუალება შეაკეთოს ქ. თბილისში. საგარანტიო შემთხვევაში სერვის-ცენტრამდე ტრანსპორტირების ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

თ) იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების მიწოდებიდან 30 დღის ან 1 000 კმ. გარბენის (რომელიც უფრო ადრე დადგება) ავტომობილს აღმოაჩნდება საწარმოო დეფექტი ძირითად აგრეგატზე (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდი) მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალება შეცვალოს ახლით.

ი) საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) საგარანტიო მომსახურების ვადაში დაიცვას მიმწოდებლის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული საგარანტიო მომსახურების პირობები და სავალდებულო პერიოდული მომსახურების ვადები, (დანართი საგარანტიო მომსახურების პირობების და ავდების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში და აღნიშნულის თაობაზე წერილობით (დასაშვებია ელ.ფოსტის მეშვეობით) აცნობოს მიმწოდებელს.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ დააუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია წერილობითი მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

დ) საქონლის მიწოდების ვადის 15-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ მიმწოდებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ზემოაღნიშნულ ვადაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩამოერთმევა კონკრეტული ხელშეკრულებისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში წარმოდგენილი გარანტიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.5 ხელშერკულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებმაოსილია, ცალმხრივად მიიღოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

6.6 მხარე ვალდებულია, 6.5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ დასტურდება მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომელიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად. აღნიშნულის არსებობიბს შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებუელების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 მხარეებს, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ჩათვლით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
გიორგი წოწკოლაური სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	გიორგი ფალიანი დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ზ. ფიფია

ბ. დათუკიშვილი

ა. ვასაძე

ზ. ჭანტურია

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY 2019.12.24 15:15:47 +04'00'

დანართი N1

III კლასის მსუბუქი ავტომობილი		მეცავაზება
ძრავის ძალა ორანკლებ	75	90
გადაცემთა კოლოფი	მექანიკური, ორანკლებ 5 საფეხურიანი	მექანიკური, 5 საფეხურიანი
სიგრძე ორანკლებ	3840	4057
სიგანე ორანკლებ	1695	1733
სიმაღლე ორანკლებ	1450	1517
საჯარისკაცო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემთა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომობილზე, გარდა სწრაფმეტყველი ნაწილების და მასალების (ამტვერიანი, ფრენი, საბურავები, ელექტროლამპეები, ელექტრომოწყობილები, შუშის სანმენდი ჯაგრისები, გადაცემთა კოლოფის გადამზელობის ჭური, გადაცემთა კოლოფის მიმჭიმი საკისარი, გადაცემთა კოლოფის გადამზელობის დისკი და საყრდენი დისკი);	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემთა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომობილზე, გარდა სწრაფმეტყველი ნაწილების და მასალების (ამტვერიანი, ფრენი, საბურავები, ელექტროლამპეები, ელექტრომოწყობილები, შუშის სანმენდი ჯაგრისები, გადაცემთა კოლოფის გადამზელობის ჭური, გადაცემთა კოლოფის მიმჭიმი საკისარი, გადაცემთა კოლოფის გადამზელობის დისკი და საყრდენი დისკი);
„უსაფრთხოების დამამტკიცებელ დოკუმენტზე მუშაობა ევროკავშირის შემოთავაზებული მიდგომის ნებისმიერ ოპტიმალურ კანონზე აგებული მსუბუქი ავტომობილის ქრაშტესტის სერტიფიკატი"	NCAP (ლენინ ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)	NCAP (ლენინ ქრაშ ტესტი)
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი	წინა ორი
ავტომატური მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი
ავტომატური მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
ავტომატური მოთხოვნა	კონდიციონერი	კონდიციონერი
ავტომატური მოთხოვნა	აუდიო სისტემა, ოცდა საჭრე მიმის ელ. გათბობა	აუდიო სისტემა, ოცდა საჭრე მიმის ელ. გათბობა
ავტომატური მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
ავტომატური მოთხოვნა	ABS	ABS
ავტომატური მოთხოვნა	ნებისმიერი ფერი გარდა შავისა	თეთრი

სს „ფრანს ავტო"
გენერალური დირექტორი
გიორგი ფალიანი

Georgi Paliani

Digitally signed by George Paliani
Date: 2019.06.27 10:49:09 +04'00'